ქ. თბილისი 26 ივნისი, 2012 წელი

ერთის მხრივ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფასტრუქტურის განვითარების სააგენტო მისი დირექტორის გიორგი ჩახნაშვილის სახით (შემდგომში – შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, შპს **Lucas-Nülle Lehr- und Meßgeräte GmbH** მისი დირექტორის ექსპორტის დარგში ჰაინც კეპლერის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 ივნისის №1072 განკარგულებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში **სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის აღჭურვილობის** სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია **სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის აღჭურვილობის** შესყიდვა დანართი 1-ში მითითებული ტექნიკური აღწერილობის მიხედვით: 2012 წლის 25 ივნისის **N12/51/GE/02/KFZ** შეთავაზების შესაბამისად.

## *2. ხელშეკრულების ღირებულება*

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **683 425 ექვსასოთხმოცდასამი ათასოთხასოცდახუთი ევრო.** თბილისი **(Incoterms 2000)** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების, (საქართველომდე ტრანსპორტირების, შენახვისა და სხვა) ჩათვლით. (ხელშეკრულების ფასში არ შედის საქართველოს საბაჟო მოსაკრებლები და დღგ).

## *3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი*

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

## *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები*

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემდეგი პირობების შესაბამისად:

- პირველ ეტაპზე, არაუგვიანეს 2012 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით განხორციელდება Uni-Train I System–ის 8 კომპლექტის, სხვადასხვა ტრენინგ ხელსაწყოსა და არანაკლებ ორი ცალი მობილური დაფის მოწოდება. ხოლო არაუგვიანეს 2012 წლის 05 დეკემბრისა განხორციელდება დარჩენილი (სრული) აღჭურვილობის მიწოდება, ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.3. ლაბორატორიის ინსტალაცია განხორციელდება თითოეული ეტაპის მიწოდებიდან არა უგვიანეს 12 სამუშაო დღეში, მას შემდეგ, როდესაც შესაბამისი ტექნიკა მიწოდებული იქნება პროფესიულ სასწავლო ცენტრში და და გაივლის საბაჟო პროცედურებს, ამასთან შესმყიდველი შექმნის შესაბამის გარემოს ლაბორატორიის ადგილზე განსათავსებლად.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.5. საქონლის დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების და/ან სათანადო ინვოისის წარმოდგენა საქონლის დასახელებისა და ფასის მითითებით.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

[illegible] შესრულების კონტროლზე (ინსპექტირებაზე) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლები.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი ინვოისი, სადაც განსაზღვრული იქნება მიმღები: „სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## *6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება შემდეგნაირად:

6.2.1. კონტრაქტის ღირებულების 30% ავანსის სახით; მიმწოდებელი გასცემს საავანსო გარანტიას რეპუტაციის მქონე გერმანული ბანკის საშუალებით, ან მისი საკორესპოდენტო ბანკის საშუალებით საქართველოში, რომელიც შევა ძალაში ავანსის მიღების დღეს. საავანსო გარანტია ძალაშია 05.01.2013 წლამდე და საავანსო თანხა უნდა ჩაირიცხოს მიმწოდებლის ანგარიშზე არა უგვიანეს 2012 წლის 6 ივლისისა.

6.2.2. კონტრაქტის ღირებულების 40% დასატვირთად გამზადებული საქონლისათვს გადახდილ იქნება საქონლის გაგზავნამდე.

6.2.3. კონტრაქტის ღირებულების 30% გადახდილ იქნება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერიდან 30 დღის განმავლობაში.

## *7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1.შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა. მოწოდებულ **საქონელზე** გაავრცელოს 2 წლიანი **საგარანტიო მომსახურება**

ბ. შეტყობინების მიღებისთანავე, გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება/შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

გ. ლაბორატორიის შემდგომი ექსპლოატაციის მიზნით, უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ სათანადოდ გამოყოფილი, 2 პერსონის გერმანიაში გადამზადება ერთი კვირის ვადაში. ტრანსპორტირების ხარჯები ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ, ხოლო საცხოვრებლისა და ტრენინგის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

დ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ მუხლში.

8.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ბ) განუსაზღვროს საქონლის მოწოდებისთვის დამატებითი ვადა არაუმეტეს **30 (ოცდაათი)** დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

8.4. თუ კი მიმწოდებელი 8.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის **10%-ის** ოდენობით.

8.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.

## *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2012 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით, ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

## *10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

## *11. ფორს-მაჟორი*

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

## *12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *14. სხვა პირობები*

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 15. თანმდევი მომსახურება

15.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის შენახვა და ტრანსპორტირება მიწოდების ადგილზე, (კოლეჯის ტერიტორია).

15.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ლაბორატორიის სათანადო გამართვა (ისტალაცია), მიწოდებიდან არაუგვიანეს 12 კალენდარული დღის ვადაში.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი**

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო",
მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული,
ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

**დირექტორი გიორგი ჩახნაშვილი**

______________________
(ხელმოწერა)

**მიმწოდებელი**

**Lucas-Nülle Lehr- und Meßgeräte GmbH**
**Siemensstr. 2, 50170 Kerpen, Germany**
დირექტორი ექსპორტის დარგში ჰაინც კეპლერი

______________________
(ხელმოწერა)

# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

N 1072 2012 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებისა და ქ. თბილისში გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრისა და ამავე ობიექტის საცურაო აუზის საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს ქ. თბილისში გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრისა და ამავე ობიექტის საცურაო აუზის ინვენტარისა და ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან (პროგრამული კოდი – 32 05 02).

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

**Agreement N162/01/95 about state purchase**

CPV: **42990000** - Miscellaneous special-purpose machinery

**Tbilisi** **26 July, 2012**

On the one hand LEPL Educational and Scientific Infrastructure Development Agency represented by its Director Giorgi Chakhnashvili (hereinafter referred to as Purchaser) and on the other hand company Lucas-Nülle Lehr- und Meßgeräte GmbH, Siemensstr. 2, 50170 Kerpen, Germany, represented by its Director Export Heinz Keppler (hereinafter referred to as Supplier) been led by Regulation # N1072 dated June, 8th, 2012 adopted by Georgian Government according to the sub-point "d" of point 3 of Article $10^1$ of Georgian Law About State Purchases, with the means of simplified purchasing sign up the present agreement on the following:

## 1. Subject of Agreement and its Object

1.1. The subject of agreement is the state purchase of learning-scientific laboratory equipment in frames of state budget financing, according to the terms foreseen by the present agreement.

1.2. The object of agreement is the purchase of learning-scientific laboratory with the technical description indicated in enclosure #1: Quotation No. 12/51/GE/02 KFZ of 25.06.2012

## 2. Agreement price

2.1. The total price of object of purchase is 683.425,00 Euros DDU Tbilisi (Incoterms 2000) including the expenses following and foreseen by the agreement (those of shipment, maintenance and other). (Customs' fees and VAT are not included in the agreement price).

## 3. Quality of the object of purchase

3.1. The supplier guarantees that the quality of supplied object meets the agreement terms and satisfies the requirements of the purchaser.

## 4. Term for delivery the object of purchase

4.1. The delivery of the object of purchase is executed by the supplier with his own expenses.

4.2. Partial deliveries are allowed. A first partial delivery of 8 sets of Uni-Train I System along with various courses plus at least 2 mobile stands shall reach the Georgian Border not later than August 30th, 2012 while the rest of the equipment shall reach the Georgian border not later than December 5th, 2012, within the payment conditions defined in the chapter 6.

4.3. Installation and training for each partial delivery shall be finalized not later than 12 working days after arrival at the college and customs clearance, provided that the Buyer makes available a proper environment.

4.4. The supplier is obliged to transfer the righteously and materially perfect goods.

4.5. In parallel with the final delivery of goods the supplier should provide the presentation of the accompanying documentation namely the CMR and bill of quantity and/or relevant invoice indicating the title of goods and price.

## 5. Rule of accepting and delivering the object of purchase

5.1. The acceptance of the object of purchase is made on the basis of the Acceptance-Delivery Act signed by the authorized representative (Trustful person) of the supplier.

5.2. The person authorized for organizing the Acceptance-Delivery Acts foreseen by the agreement and controlling (inspecting) the fulfillment of the agreement is to be specified later.

5.3. Together with the organization of Acceptance-Delivery Act, the supplier is obliged to present the relevant invoice indicating the name of the Buyers LEPL Educational and Scientific Infrastructure Development Agency. In opposite case the purchaser has the right of waiving the payment.

## 6. Form of payment, schedule (terms) and place

6.1. The compensation of the cost of delivered object will be made by bank transfer.

6.2. Payment shall be done as follows:

6.2.1. 30 % of the contract value as an advance payment; Supplier will issue an advance payment guarantee by a reputable German bank, through its reference bank in Georgia, coming into force on the date of receipt of advance payment. The advance payment guarantee will be valid until 05.01.2013 and the advance payment will reach Suppliers' Account no later than July 6, 2012.

6.2.2. 40 % of the contract value for the goods ready for shipment will be paid before dispatch of the goods

6.2.3 30 % of the contract value will be paid during 30 days after signing the Acceptance-Delivery-Act by the parties.

## 7. The rights and obligations of the parties

7.1. The purchaser has the following rights:

7.1.1. Check the relevance of the quality of the goods delivered with the terms foreseen by the agreement;

7.2. The supplier has the following right:

7.2.1. Request the purchaser to compensate the price for the goods delivered with the terms foreseen by the agreement;

7.3. The supplier is obliged to:

a) Provide 2 year guarantee service for the goods delivered;

b) As soon as the notification is received in reasonable period of time, but no later than in 30 calendar days repair/change the disliked goods without spending any additional expenditures by the purchaser;

c) For the purpose of further exploitation of the laboratory provide the training of 2 persons for 1 week at Supplier's site. Transportation will be provided by the Buyer, accommodation and training will be provided by the Supplier.

d) Follow all the terms foreseen by the agreement.

## 8. The liability of the parties when breaching the agreement

8.1. The parties should fulfill their obligations foreseen by the parties in the place and time determined by the agreement. The parties become liable for the non or inadequate fulfillment of the terms determined by the agreement and the rule determined by Georgian legislation;

8.2. Except the force major circumstances the non fulfillment of the agreement terms by the supplier and/or in case of late fulfillment the fine sanctions are used the form, amount, activation terms and payment ones of which are determined in this article.

8.3. If the supplier fails to fulfill the obligations in frames of the term determined by the agreement the purchaser is authorized to:

a) Terminate the present agreement and fine the supplier for not fulfilling the agreement by 5% of its total amount or

b) Determine the additional period of time for delivering the goods of no longer than 30 (thirty) days, during which the supplier pays the fine 0.07% of the total value of the missing equipment for each overdue day.

8.4. If the supplier fails to complete the work fully even in the additional term foreseen by the point "b" of article 8.3. the purchaser terminates the present agreement and the supplier will be fined for the inadequate fulfillment of the agreement with 10% of the total amount of the agreement.

8.5. After the obligations taken by the agreements are completely fulfilled the purchaser is obliged to return the agreement guarantee to the supplier and/or the documentation related to it during 14 days.

## 9. Agreement validity term

9.1. The agreement term is determined from the day of signing the agreement including December 31st 2012 or till the obligations foreseen by the agreement are fulfilled completely and duly.

## 10. The possibility of re-examining the agreement terms

10.1. It is prohibited to modify the terms of present agreement if as a result of such modifications the total value of the agreement increases or worsens for the purchaser organization, except the cases foreseen by article 398$^{th}$ of Civil Code of Georgia. The re-examination of the agreement terms are made by the rule determined by Georgian legislation.

## 11. Force major

11.1. The non fulfillment of the agreement terms by any of the parties signing the agreement does not cause the usage of fine sanctions and the non-returning of the fulfillment guarantee if the obstruction of agreement or the non fulfillment of its obligations is the result of force major circumstance.

11.2. For the purposes of this article Force Major means the circumstances been undefeated and uncontrolled which are not related to the mistakes or negligence of the purchaser and/or supplier and which are of unforeseen character. Such circumstance may be caused by the war, natural calamities, epidemics, quarantine and embargo on delivery of the goods, sharp decrease of budget assignees and other.

11.3. In case of facing the force major circumstances the party signing the agreement for which it became impossible to fulfill the obligations taken should immediately send the other party the written notification about such circumstances and the reasons causing them. If the party does not receive any written response from the other one he according to his opinion continues the fulfillment of the obligations taken and try to find out such alternative means for fulfilling the obligations which will be independent from the impact of force major circumstances.

## 12. Disputes and the rule of solving them

12.1. The disputes rising between the parties when fulfilling the agreement or the various opinions may be possibly solved on the basis of the joint negotiation of both parties.

12.2. In case of not reaching the agreement, parties address the court according to the legislation of Georgia.

## 13. Terms for inspecting the agreement

13.1. The purchaser is authorized to inspect the goods delivered in order to determine its relevance with the terms foreseen by the agreement and requirements of the purchaser.

13.2. The goods are inspected by the person mentioned in article 5.2 of the present agreement from the purchaser's side.

13.3. About any lack or defect revealed as a result of inspection the purchaser immediately informs the supplier in written form about it indicating the number of the disliked goods and the reasons of it.

13.4. The expenses related to the eradication of the lack or revealing the defect and re-inspection is compensated by the supplier with the rule determined by Georgian legislation.

## 14. Other terms

14.1. The parties will compensate the damage caused to one another according to Georgian legislation.

14.2. None of the parties has the right of transferring the rights and obligations to the third persons without having the written consent from the other party.

14.3. The parties in relation to the third person act on their behalf, expenses and risk.

14.4. The agreement is drawn upon into Georgian and English languages in four copies each having equal legal power and are kept with the parties signing (one copy remains with the supplier and the other four with the purchaser). Any correspondence related to the agreement should be made in English language.

14.5. Any modification or amendment made to the present agreement is valid only after it is drawn upon into written form and signed by the parties.

## 15. Service followed

**15.1.** The supplier is obliged to maintain the goods with own expenses and carry out the shipment to the place of delivery (**Tbilisi, khizanishvili Streetet, Gldani Profesionale Development Centre).**

15.2. The supplier is obliged to provide the appropriate installation of the laboratory in no later than 12 calendar days after delivery.

## 16. The legal addresses of the parties ad requisites

**Purchaser**

**LEPL Educational and Scientific Infrastructure Development Agency represented by its Director**
**Tbilisi Aleqsidze st. N1**
**202294980**

**George Chakhnashvili**

____________________
(Signature)

**Supplier**

**Lucas-Nülle Lehr- und Meßgeräte GmbH**
**Siemensstr. 2,**
**50170 Kerpen, Germany**

Director Export Heinz Keppler

____________________
(Signature)

# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

N 1072 2012 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებისა და ქ. თბილისში გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრისა და ამავე ობიექტის საცურაო აუზის საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს ქ. თბილისში გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრისა და ამავე ობიექტის საცურაო აუზის ინვენტარისა და ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან (პროგრამული კოდი – 32 05 02).

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური